



პროფესიული მასწავლებლის გზამკვლევი

შპს ავიცენას საერთაშორისო საზოგადოებრივი კოლეჯი

პროფესიული განათლების მასწავლებელი არის პირი, რომელიც სასწავლო პროცესს წარმართავს პროფესიული განათლების ფარგლებში.

პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული ვალდებულების შესრულებისას უნდა იყოს დამოუკიდებელი, კეთილსინდისიერი და მიუკერძოებელი.

ის პროფესიულ საქმიანობას უნდა ახორციელებდეს ეთიკის ნორმების სრული დაცვით.



პროფესიული განათლების მასწავლებელს უნდა ჰქონდეს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავებისა და მიღწეული სწავლის შედეგების შეფასების დადასტურებული კომპეტენცია.



პროფესიული მასწავლებლის შერჩევა

პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევის მიზნით დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე, დაწესებულების ოფიციალურ ვებ-გვერდზე ან/და დასაქმების შესაბამის ვებ-გვერდებზე ქვეყნდება ინფორმაცია პროფესიული განათლების მასწავლებლის ვაკანსიის შესახებ, სადაც მითითებულია ვაკანსიის დასახელება, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო საკვალიფიკაციო მოთხოვნები, წარმოსადგენი დოკუმენტაცია, ვადები და სხვა პირობები.

ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების დღიდან იწყება საბუთების მიღება და განხილვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის განიხილვის შემდეგ დაწესებულების დირექტორი და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახდენენ შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრებას. გასაუბრების დადებითი შედეგის შემთხვევაში დირექტორი გამოსცემს ბრძანებას, რის საფუძველზეც შერჩეულ პროფესიული განათლების მასწავლებლის კანდიდატთან ფორმდება მომსახურების ხელშეკრულება საქართველოს მომქმედი კანონმდებლობის შესაბამისი მოთხოვნათა დაცვით.

პროფესიული განათლების მასწავლებლის კანდიდატის შერჩევისას გათვალისწინებულ უნდა იქნას შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და დარგობრივი პროფილით მუშაობის გამოცდილება, რომლის დადასტურებაც უნდა მოხდეს შესაბამისი დაწესებულების მიერ გაცემული ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე.




შერჩეულმა პროფესიული მასწავლებლის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტაცია:

- ა. განცხადება დირექტორის სახელზე;
 - ბ. პასპორტის/პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - გ. ავტობიოგრაფია-cv;
 - დ. განათლებისა დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი. უცხო ქვეყნის საგანმანათლებლო დოკუმენტის შემთხვევაში - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის მიერ განათლების აღიარების დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;
 - ე. შესაბამისი პროფესიული გამოცდილების დამადასტურებელი დოკუმენტის(არსებობის შემთხვევაში) ასლი;
 - ვ. სხვა დოკუმენტების (სიგელები, დიპლომები, სერთიფიკატები და სხვა) ასლები.
- კანდიდატის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის სისწორესა და ნამდვილობაზე პასუხისმგებელია დოკუმენტაციის წარმომდგენი პირი.
- ზემოთ ჩამოთვლილი დოკუმენტების არასრულად წარმოდგენის შემთხვევაში კანდიდატს ეძლევა ვადა - 5 სამუშაო დღე, ხარვეზის გამოსასწორებლად. აღნიშნული ვადის ამოწურვის შემდეგ დოკუმენტთა წარმოდგენლობა შეიძლება გახდეს ხელშეკრულების დადებაზე უკუმიმდებარე საფუძველი.



ვაკანსიის შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნების დღიდან იწყება საბუთების მიღება და განხილვა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის განიხილვის შემდეგ დაწესებულების დირექტორი და ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი ახდენენ შერჩეულ კანდიდატებთან გასაუბრებას. გასაუბრების დადებითი შედეგის შემთხვევაში დირექტორი გამოსცემს ბრძანებას, რის საფუძველზეც შერჩეულ პროფესიული განათლების მასწავლებლის კანდიდატთან ფორმდება მომსახურების ხელშეკრულება საქართველოს მომქმედი კანონმდებლობის შესაბამის მოთხოვნათა დაცვით.



პროფესიული განათლების მასწავლებლის კანდიდატის შერჩევასას
გათვალისწინებულ უნდა იქნას შესაბამისი კვალიფიკაცია ან/და
დარგობრივი პროფილით მუშაობის გამოცდილება, რომლის
დადასტურებაც უნდა მოხდეს შესაბამისი დაწესებულების მიერ
გაცემული ოფიციალური დოკუმენტის საფუძველზე.



საჭიროების შემთხვევაში დირექტორის გადაწყვეტილებით შეიძლება განხორციელდეს პროფესიული განათლების მასწავლებლის შერჩევა კონკურსის საფუძველზე; აღნიშნულ შემთხვევაში კონკურსის წესი და პირობები განისაზღვრება დირექტორის ბრძანებით და ქვეყნდება საჯაროდ დაწესებულების ვებ-გვერდზე.



დაწესებულებასა და დასაქმებულთა შორის შრომით ურთიერთობებს აწესრიგებს დაწესებულების შინაგანაწესი

დაწესებულების პერსონალისათვის დაუშვებელია ზოგადზნეობრივი ნორმების წინააღმდეგ ან პერსონალისა და დაწესებულების დისკრედიტაციისაკენ მიმართული უღირსი საქციელი (ბრალეული ქმედება), განურჩევლად იმისა, სად არის იგი ჩადენილი.

დაუშვებელია სამუშაო ადგილზე ალკოჰოლური და ნარკოტიკული თრობის მდგომარეობაში გამოცხადება, ასევე თამბაქოს მოწევა დაწესებულების შენობაში, მის საკუთრებაში არსებულ ტერიტორიაზე და მის მიმდებარედ 50 მეტრის რადიუსში (შესაბამისი დაწესებულების ტერიტორიის უახლოესი წერტილიდან). მოქალაქეებთან და თანამშრომლებთან ურთიერთობისას დაწესებულების პერსონალი ვალდებულია დაიცვას ეთიკური და ზნეობრივი ნორმები, გააცნოს საკუთარი თავი და დაკავებული თანამდებობა, იყოს ყურადღებიანი და ზრდილობიანი.

სამუშაო, შესვენების და დასვენების დრო

სამუშაო დრო წარმოადგენს კალენდარული დროის ნაწილს, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ვალდებულია განახორციელოს თავისი სამსახურეობრივი უფლება-მოვალეობანი.

დამსაქმებლის მიერ განსაზღვრული დროის ხანგრძლივობა, რომლის განმავლობაშიც დასაქმებული ასრულებს სამუშაოს, არ უნდა აღემატებოდეს კვირაში 40 საათს.



დაწესებულების პროფესიული მასწავლებლისათვის სამუშაო და შესვენების დრო განსაზღვრება დაწესებულების დირექტორის ბრძანების საფუძველზე დამტკიცებული სასწავლო ცხრილების მიხედვით.

სამუშაო დროში არ ითვლება შესვენებისა და დასვენების დრო. უქმე დღეები განსაზღვრულია საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.



ზეგანაკვეთურ სამუშაოდ მიიჩნევა მხარეთა შეთანხმებით დასაქმებულის მიერ სამუშაოს შესრულება დროის იმ მონაკვეთში, რომლის ხანგრძლივობა აღემატება დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრულ სამუშაო დროს. ზეგანაკვეთური სამუშაო ანაზღაურდება ხელფასის საათობრივი განაკვეთის გაზრდილი ოდენობით, რომელიც განისაზღვრება მხარეთა შეთანხმებით.



შრომის ანაზღაურების ფორმა და ოდენობა განისაზღვრება ყოველი დასაქმებულისათვის ინდივიდუალურად, შესაბამისი ხელშეკრულებით. შრომის ანაზღაურება გაიცემა თვეში ერთხელ, თვის ბოლო რიცხვამდე უნაღდო ანგარიშსწორების გზით.



შრომითი ურთიერთობისას მხარის მიერ მეორე მხარისათვის მიყენებული ზიანი ანაზღაურდება შინაგანაწესისა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. დასაქმებულები მოვალენი არიან მზრუნველობით მოეპყრან დაწესებულების ქონებას და მიიღონ შესაბამისი ზომები მოსალოდნელი ზიანის თავიდან ასაცილებლად. დამსაქმებელი ვალდებულია სრულად აუნაზღაუროს დასაქმებულს ზიანი, რომელიც მას მიადგა სამუშაოს შესრულებასთან დაკავშირებით. დასაქმებულის მიერ სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებისას დაწესებულებისათვის მიყენებული ზიანის გამო მას ეკისრება მატერიალური პასუხისმგებლობა აღნიშნული ზიანის ოდენობით.

დასაქმებულის ბრალით გამოწვეული ზიანისათვის დაწესებულებას უფლება აქვს დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს შესაბამისი სანქცია, რომელსაც ზიანის ოდენობისა და მნიშვნელობის გათვალისწინებით განსაზღვრავს დაწესებულების დირექტორი.

დავის განხილვა და გადაწყვეტა

შრომით ურთიერთობაში დავის წარმოშობის საფუძველი შეიძლება იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ადამიანის უფლებებისა და თავისუფლებების, ასევე ხელშეკრულებით ან/და დაწესებულების სამართლებრივი აქტებით დადგენილი შრომის პირობების დარღვევა.

დავის განხილვა შეუძლიათ მხოლოდ იმ პირებს და მათ წარმომადგენლებს, რომელთაც უშუალოდ ეხებათ ეს დავა.

დავის განხილვა არ იწვევს შრომითი ურთიერთობის შეჩერებას.

დავა უნდა გადაწყდეს მხარეთა შორის შეთანხმებული პროცედურების მიხედვით.

შეთანხმებული პროცედურების დაწყების შესახებ მხარე მეორე მხარეს უგზავნის წერილობით შეტყობინებას, რომელშიც ზუსტად უნდა იყოს განსზღვრული დავის წარმოშობის საფუძველი და მოთხოვნები.

მეორე მხარე ვალდებულია წერილობითი შეტყობინება განიხილოს და თავისი გადაწყვეტილება წერილობით აცნობოს მხარეს შეტყობინების მიღებიდან 10 კალენდარული დღის განმავლობაში.

თუ დავის დროს შეთანხმება ვერ იქნა მიღწეული 14 კალენდარული დღის განმავლობაში, ან თუ მხარემ თავი აარიდა შეთანხმებულ პროცედურებში მონაწილეობას, მეორე მხარეს უფლება აქვს მიმართოს სასამართლოს.


დავის განხილვის პროცესში მხარეთა მიერ მოთხოვნის გაზრდა ან დავის საგნის შეცვლა დაუშვებელია.



ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის და/ან განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის დაწესებულება უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ზომები: მაღლობის გამოცხადება (ოფიციალური დოკუმენტის სახით და პირად საქმეში შეტანით);
პრემია;

ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
სამსახურებრივი დაწინაურება;

წახალისების ზომების შესახებ შესაბამის გადაწყვეტილებას ბრძანების სახით იღებს დაწესებულების დირექტორი.



დისციპლინურ გადაცდომად ითვლება შინაგანაწესით, დაწესებულების სხვა შიდა სამართლებრივი აქტებითა და საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნებისა უგულებელყოფა და/ან მათი არასათანადოდ შესრულება.

დისციპლინური სახდელი არის დისციპლინური გადაცდომისათვის დაწესებულების შინაგანაწესით განსაზღვრული პასუხისმგებლობის ზომა.

დაუშვებელია არათანაბარზომიერი და ისეთი დისციპლინური სახდელის გამოყენება, რომელიც ლახავს პირის პატივსა და ღირსებას.

დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებისას უფლებამოსილი პირი ვალდებულია განუმარტოს პირს მის მიერ ჩადენილი დისციპლინური გადაცდომის არსი.

დაწესებულების პერსონალს შეიძლება დაეკისროს შემდეგი სახის დისციპლინარული სახდელი:

ა) გაფრთხილება;

ბ) საყვედური;

გ) ხელფასის მთლიანად ან ნაწილობრივ დაკავება;

დ) დაკავებული თანამდებობიდან განთავისუფლება.



დასაქმებული სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულების პერიოდში და ამ პერიოდის დასრულების შემდეგ, მიუხედავად იმისა თუ რა მიზეზით შეწყდა მასთან შრომით ურთიერთობა, ვალდებულია საიდუმლოდ შეინახოს და არ გაამჟღავნოს სამსახურეობრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებით მიღებული კონფიდენციალური ინფორმაცია.



სამუშაოზე დაგვიანება, გამოუცხადებლობა

სამუშაოზე დაგვიანებად მიიჩნევა დასაქმებულის მიერ სამუშაო ადგილზე 15 წუთის დაგვიანებით გამოცხადება.

სამუშაოზე დაგვიანება ან სამუშაოზე გამოუცხადებლობა შეიძლება ჩაითვალოს საპატიოდ ან არასაპატიოდ.

სამუშაოზე დაგვიანება ან სამუშაოზე გამოუცხადებლობა ჩაითვლება საპატიოდ :

ა.იმ შემთხვევაში თუ კი დასაქმებული წინასწარ აცნობებს დაწესებულების დირექტორს დაგვიანების ან გამოუცხადებლობის მიზეზებს, რომელთაც დირექტორი მიიჩნევს საპატიოდ.

ბ.იმ შემთხვევაში თუ კი დასაქმებულის მიერ სამუშაოზე დაგვიანება ან გამოუცხადებლობა მოხდა დაწესებულების დირექტორთან შეუთანხმებლად და გამოწვეული იყო დაუძლეველი ძალით, ავადმყოფობით ან მძიმე ოჯახური მდგომარეობით.

გამოუცხადებლობის შემთხვევაში დირექტორს უნდა ეცნობოს მინუმუმ ერთი სამუშაო დღით ადრე, რათა შესაძლებელი იყოს დასაქმებულზე დაკისრებული სამსახურეობრივი მოვალეობების სხვა თანამშრომელზე გადაბარება.

ზემოაღნიშნული საფუძვლების არარსებობისას, დასაქმებულის მიერ სამუშაოზე დაგვიანება ან გამოუცხადებლობა ჩაითვლება არასაპატიოდ.

საპატიო მიზეზით სამუშაოზე დაგვიანება ან გამოუცხადებლობა ანაზღაურდება, ხოლო არასაპატიო მიზეზის შემთხვევაში სამუშაოზე დაგვიანება ან გამოუცხადებლობა არ ანაზღაურდება.



პროფესიული განათლების მასწავლებელი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელთან და დაწესებულების ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან ერთად მონაწილეობს მოდულების ადაპტირებას, დანერგვასა და მოდიფიცირებაში.



მოდული ცალკე აღებული, დამოუკიდებელი სასწავლო ერთეულია, რომელიც პროფესიულ სტუდენტს/მსმენელს კონკრეტული, დასრულებული კომპეტენციის ან/და უნარის გამომუშავების ან/და ცოდნის მიღების საშუალებას აძლევს.



. კალენდარულს გეგმასა შეიმუშავენ პროფესიული განათლების მასწავლებელი და მოდულის დაწყებამდე 15 სამუშაო დღით ადრე წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, რომელიც განიხილავს და ადასტურებს მას. შეფასების ინსტრუმენტს შეიმუშავენ პროფესიული განათლების მასწავლებელი და წარუდგენს ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერს, რომელიც განიხილავს მის ვალიდურობას, სანდოობას, გამჭვირვალობას, სამართლიანობას, ობიექტურობას და ვერიფიკაციის შემთხვევაში ადასტურებს მას. პროფესიული განათლების მასწავლებელი უფლებამოსილია თავად გადაწყვიტოს თუ რომელ კრიტერიუმს გამოიყენებს შეფასების ინსტრუმენტის შემუშავებისას

პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხული პროფესიული სტუდენტების რაოდენობის, პროგრამაში შემავალ მოდულებში მითითებული მასალებისა და ნედლეულის რაოდენობის გათვალისწინებით ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერი პროფესიული განათლების მასწავლებლებთან კონსულტაციის საფუძველზე წარუდგენს დირექტორს მოთხოვნას შესაძენი მასალებისა და ნედლეულის შესახებ შესაბამისი მოდულის დაწყებამდე არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღისა.



პროფესიული განათლების მასწავლებელი არ უნდა აყენებდეს პროფესიულ სტუდენტს რაიმე სახის შეურაცხყოფას, უნდა ინარჩუნებდეს სიმშვიდეს კონფლიქტურ სიტუაციებში, ისმენდეს პროფესიულ სტუდენტთა აზრს და იღებდეს ობიექტურ და სამართლიან გადაწყვეტილებებს.

პროფესიული განათლების მასწავლებელმა პატივი უნდა სცეს კოლეგებს, სამართლიანად და ობიექტურად უნდა შეაფასოს მათი საქმიანობა და ნაშრომები; კოლეგის კრიტიკა უნდა იყოს კონსტრუქციული; არ უნდა გააკეთოს უხეში და მიუღებელი კომენტარები კოლეგის სწავლების მეთოდებზე, დაუშვებელია კოლეგის პიროვნული დამცირება, ცილისწამება, შეურაცხყოფა ან ანონიმურად დადანაშაულება.



პროფესიული განათლების მასწავლებელი ვალდებულია კომპეტენტურად შეასრულოს მასზე დაკისრებული ფუნქციები და მუდმივად იზრუნოს თვითგანვითარებაზე. პროფესიული განათლების მასწავლებელმა უნდა დაიცვას ინტელექტუალური საკუთრება, მათ შორის გამოგონებები და საავტორო უფლებები.

პროფესიული განათლების მასწავლებელმა პატივი უნდა სცეს სხვების განსხვავებულ შეხედულებებს და მრწამსს.

პროფესიული განათლების მასწავლებელმა პატივი უნდა სცეს პროფესიულ სტუდენტთა აზრს, შეუქმნას მათ ყველანაირი პირობა თავიანთი იდეებისა და შეხედულებების თავისუფლად გამოხატვისათვის.

